

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1

2012 წლის 20 იანვარი

ქ. დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 22 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „დუშეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 22 დეკემბრის №60 დადგენილებაში (სსმ, 30/12/2011 წ.) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ქალაქ დუშეთში, მუნიციპალიტეტში შემავალ დაბებში და სხვა დასახლებულ პუნქტებში მოსახლეობისათვის დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთი განისაზღვროს ერთ სულზე 51(ორმოცდათერთმეტი) თეთრით თვეში“.

2. შეტანილი ცვლილების შედეგად დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„დანართი №2

საქმიანობა	ზომის ერთეული	წლიური დაგროვების ნორმა მ ³	განაკვეთი თვეში (1მ ³ -7,51 ლ)
1 მუზეუმები, ბიბლიოთეკები	საერთო ფართის 1მ ²	0,04	0,025
2 ოფისები, სააგენტოები, პროფესიული და სახელმწიფო ორგანიზაციები, ბანკები, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები	საერთო ფართის 1მ ²	0,08	0,050
3 სკოლები, ინსტიტუტები, კოლეჯები, საბავშვო ბაღები (საგანმანათლებლო დაწესებულებები)	ერთ მოსწავლეზე	0,198	0,124
4 სასტუმროები	მომსახურების ერთი საწოლი	1,72	1,076
5 საავადმყოფოები	ერთი საწოლი	1,157	0,724
6 პოლიკლინიკები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრები, ექიმებისა და სტომატოლოგიური კაბინეტები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართის 1მ ²	0,12	0,075
7 სტადიონები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ღია ტერიტორიები და მანეჟები (სატურნირო და სავარჯიშო მოედნების გარდა)	ღია ფართის 1მ ²	0,02	0,013
8 სასურსათო საქონლის მაღაზიები	სამუშაო ფართის 1მ ²	0,50	0,313
9 სამრეწველო საქონლის მაღაზიები და ავთიაქები	სამუშაო ფართის 1მ ²	0,25	0,156
10 აგრარული ბაზრები	საერთო ფართის 1მ ²	0,1	0,063

11	ბენზინგასამართი სადგურები	საერთო ფართის 1მ ²	0,08	0,050
12	სადალაქოები და სილამაზის სალონები	საერთო ფართის 1მ ²	0,35	0,219
13	სამეწარმეო საქმიანობა შენობის შიგნით მიმდებარე წარმოებისას და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები	საერთო ფართის 1მ ²	0,25	0,156
14	რესტორნები, სასადილოები, კაფეები და ბარები	ერთ დასაჯდომ ადგილზე	2,4	1,502
15	საბანკეტო დარბაზები სარიტუალო მომსახურებისათვის	ერთ დასაჯდომ ადგილზე	0,96	0,601
16	საცხოვრები	სამუშაო ფართის 1მ ²	0,26	0,163
17	საავტომობილო სადგურები	ღია ფართის 1მ ²	0,008	0,005
		დახურული ფართის 1მ ²	0,08	0,050
18	საწარმოო დანიშნულების ობიექტების ღია ტერიტორიები	სამუშაო ფართის 1მ ²	0,008	0,005
19	არასამეწარმეო დანიშნულების ობიექტების ღია ტერიტორიები	1მ ²	0,005	0,003

მოსაკრებლის გაანგარიშების ფორმულა:

მ=წ.დ.ნ. : 12 X ტ.

მ – მოსაკრებელი ერთ თვეზე.

წ.დ.ნ. – ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა.

ტ – 1მ³ დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების, წარმოქმნილი ნარჩენის შეგროვების, ტრანსპორტირების, გაუვნებლობისა და ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილების მოვლა-პატრონობის ტარიფი.“.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ც. საბაგლიშვილი